ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 31/87

ქ. თბილისი

05 ოქტომბერი 2016 წ.

I. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელთანაც შემსყიდველთან გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

II. ხელშეკრულების მხარეები და მათი რეკვიზიტები

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გაგა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), დირექტორის – დავით ჭეიშვილის სახით (მისამართი: ქ. თბილისი, 0144 ქეთევან დედოფლის გამზირი №90/2. საიდენტიფიკაციო კოდი: 206031694. საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში №GE65BG00000003394104000)

მეორეს მხრივ, შპს „RSG Goods & Services" (შემდგომში - მიმწოდებელი), დირექტორის – ზაზა აბულაძის სახით (მისამართი: საქართველო, აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ. №25. საიდენტიფიკაციო კოდი №422717297, საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშსწორების ანგარიში № GE74BG0000000305328900)

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

III. ხელშეკრულების საგანი

1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებზე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს- ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლას ქობულეთში, ქეთევან დედოფლის გამზირის №90/2-ში მდებარე შენობაში მიაწოდოს შემდეგი საქონელი: „სპორტული საქონელი და აღჭურვილობა – (ინვენტარი)" - CPV 37400000), (იხ. დანართი №1).
2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.
3. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

IV. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **945.00 (ცხრაასორმოცდახუთი) ლარს.**
2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.
3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.
4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

V. საქონლის მიწოდების ვადები

1. მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 05 სამუშაო დღისა.

## VI. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

1. მიწოდებულ საქონელზე მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის აღწერილობა და მისი საერთო ღირებულება.
2. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
3. საქონლის მიღების აწარმოებს ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87-ე საჯარო სკოლის დირექტორი – დავით ჭავჭავაძე.

## VII. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არაუმეტეს 05 სამუშაო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

## VIII. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალისათვის
2. მიმწოდებელი ვალდებულია:
   ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დასრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 05 სამუშაო დღის განმავლობაში;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული თითოეული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთოს ან შეკეთების შეუძლებლობის შემთხვევაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების, ტექნიკური პარამეტრების, მირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების შესაბამისი ნივთობრივად უნაკლო საქონლით;
   გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
   დ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი.
   ე) მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
3. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საქონლის მიწოდებაზე, თუ: ა) საქონლის მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო;
   ბ) შემსყიდველი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.
4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
   ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება;
   ბ) ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.
5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:
   ა) შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულება ხელშეკრულების პირობების თანახმად;
   ბ) მიმწოდებელს გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
   გ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
   დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
6. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## IX. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პერიოდულად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია ხელშეკრულების ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება საქონლის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს ნუკრი გვეტაძეს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია სატენდერო ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს.
3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში შეცვალოს წუნი.
5. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრასთან, ასევე ხელახალი ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, სახელშეკრულებო ღირებულებისგან

დადგენილი წესით.

## X. ფორს-მაჟორული სიტუაციები

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური უბედურებით და სხვა გარემოებებით.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.
4. მხარეები ანახლებენ თავიანთ ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

## XI. სხვა პირობები

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით 20 დღის განმავლობაში. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.
3. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს 2 დღით ადრე.
4. მხარეები ორმხრივად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი — მიმწოდებელს.

**მიმწოდებლის მხრიდან:**

შპს „RSG Goods & Services"

დირექტორი

/ ნანა [illegible] /

05 ოქტომბერი 2016 წ.

**შემსყიდველის მხრიდან:**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა

დირექტორი

/ [illegible] ჭიაშვილი /

05 ოქტომბერი 2016 წ.

დანართი №1

2016 წლის 05 ოქტომბრის №31/87 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

| № | საქონლის დასახელება | საქონლის დასახელება და CPV | რაოდენობა (ცალებში) | ერთეულის ფასი (ლარში) | ჯამური თანხა (ლარში) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კალათბურთის ბურთი | კალათბურთის ბურთი - CPV 37452200 | 9 | 35.00 | 315.00 |
| 2 | კალათბურთის ბადე | სპორტული საქონელი და აღჭურვილობა - (ინვენტარი) - CPV 37400000 | 2 | 14.00 | 28.00 |
| 3 | ტენისის ჩოგანი | მაგიდის ჩოგბურთის ჩოგნები - CPV 37461520 | 8 | 19.00 | 152.00 |
| 4 | ტენისის ბადე | მაგიდის თამაშების აღჭურვილობა - CPV 37461000 | 1 | 35.00 | 35.00 |
| 5 | ფეხბურთის ბურთი | სოკერის - (ფეხბურთის) ბურთები - CPV 37451700 | 11 | 30.00 | 330.00 |
| 6 | ფრენბურთის ბურთი | ფრენბურთის ბურთი - CPV 37452900 | 5 | 17.00 | 85.00 |
| | | | | სულ: | 945.00 |

მიმწოდებლის მხრიდან:

შპს „RSG Goods & Services"

დირექტორი

/ ზაზა აბულაძე /

05 ოქტომბერი 2016 წ.

შემსყიდველის მხრიდან:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლა

დირექტორი

/ [illegible] შაიშმელი /

05 ოქტომბერი 2016 წ.